Committee on the Rights of the Child
UNITED NATIONS

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC) მოუწოდებს სახელმწიფოს გააუქმოს რუსული კანონი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC) მოუწოდებს სახელმწიფოს გააუქმოს რუსული კანონი

2024 წლის 15 აპრილს საიამ გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტს (CRC) ალტერნატიული ანგარიში წარუდგინა. ამ კომიტეტის ფუნქციაა შეაფასოს, თუ რა ზომებს იღებს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის წევრი სახელმწიფო აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

დოკუმენტში ასახულია საქართველოში არსებულ გამოწვევები, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით როგორც კანონმდებლობაში, ასევე, პრაქტიკაში. ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1. ბავშვთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე; 2. ბავშვების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობა, მათ შორის, შშმ ბავშვების მიმართ; 3. ბავშვთა ადრეული ქორწინება; 4. ბავშვთა სასკოლო და სკოლამდელი განათლება, მათ შორის, ინფორმაცია საქართველოს ეფექტიან კონტროლის მიღმა (აფხაზეთი, ცხინვალი, სამხრეთ ოსეთი) ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; 5. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების მდგომარეობა; 6. ბავშვთა შრომა და ეკონომიკური ექსპლუატაცია; 7. ქუჩაში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა.

ამასთანავე, საიამ ბავშვის უფლებათა კომიტეტს წარუდგინა ინფორმაცია 2024 წლის აპრილში ინიცირებულ Ḍ□□□□□□ გავლენის გამჭირვალობის შესახებ □ კანონზე, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის ეფექტიანი შესრულებისათვის. უფრო მეტიც, ეს კანონმდებლობა პირდაპირ ძირს უთხრის სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მშვიდობიან არსებობას საქართველოში. ამიტომაც, საიამ მოუწოდა ბავშვის უფლებათა კომიტეტს, თავისი მანდატის ფარგლებში განიხილა ეს საკითხი.

2024 წლის 30 მაისის დასკვნაში გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, და ადგენს, რომ ეს ნეგატიურად იმოქმეებს ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების მუშაობაზე. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს გააუქმოს კანონი. დასკვნაში, ასევე, გაზიარებულია ის არაერთი სხვა პრობლემური საკითხი, რომელზეც საია თავის ალტერნატიულ მოსაზრებებში მტკიცებულებებზე

დაფუძნებით უთითებდა.